

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 20 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ალ.ლონტი, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ქ.ვასაძე, ლ.სიჭინავა, ლ.ნინიძე, ჯ.თავართქილაძე, ნ.ორაგველიძე.
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი.სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხს:ლ საჯაია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

3. კომისიაში შემოსული კორექსიონების შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის

განხილვის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დაეთანხმნენ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კომისიის წევრმა ლ.სიჭინავამ, გამოთქვა აზრი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედადოგების ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტთან დაკავშირებით ერთდროული ფულადი პრემიით დაჯილდოების თაობაზე, რაზეც მიიღო განმარტება, რომ მერია ფიქრობს ამ საკითხზე.

კომისიის წევრებმა ასევე მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს დადგენილების პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“.

განხილეს კომისიაში შემოსული განცხადებები და მიიღეს გადაწყვეტილება რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის გადაგზავნის შესახებ.

განხილეს სახელმწიფო აუდიტის ანგარიში და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ცნობად მიღება და საჭიროების შემთხვევაში, ძიების დამთავრების შემდეგ, მისი დამატებით განხილვა.

გადაწყვეტის:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები:„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ წარდგენილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. კომისიაში შემოსული კორესპონდენცია რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე).

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად, ამასთან შესაბამისი ორგანოების მიერ ძიების დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კომისიამ კვლავ იმსჯელოს მასზე.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

